



მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ

თბილისი

21 მაისი 2009წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (შემდგომში-სამინისტრო), რომელსაც წარმოადგენს მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში-უნივერსიტეტი), რომელსაც წარმოადგენს რექტორი არჩილ ფრანგიშვილი (შემდგომში-მხარეები):

ვადასტურებთ რა, უნივერსიტეტის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიულ და სულიერ განვითარებაში;

ვგრძნობთ რა, პასუხისმგებლობას და აუცილებლობას, რომ საქართველოში მყოფ მსჯავრდებულს მიეცეს კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლება და გამოეთქვამთ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს ასეთ პირთა რესოციალიზაციას;

ვაცნობიერებთ რა, განათლების მიცემით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის უზრუნველსაყოფად ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას;

ვხელმძღვანელობთ რა საერთო ინტერესებით ქვეყანაში პიროვნების განვითარების საქმეში;

ვისწრაფვით რა შექნათ თანამშრომლობისა და კონსულტაციების ურთიერთმისაღები საფუძვლები, ვდებთ შეთანხმებას შემდეგ ზე:

მუხლი 1

მხარეებს შორის ურთიერთობა მემორანდუმის ფარგლებში ეფუძნება ურთიერთპატივიცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს.

მხარეები იღებენ ვალდებულებას ყველა ღონე იხმარონ შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 2

წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა განხორციელდება სამინისტროსათვის დახმარების აღმოჩენის გზით და ერთობლივი ღონისძიების შესახებ მხარეების ინიციატივის საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი წინადადება არ სცილდება მეორე მხარის შესაძლებლობებს.

მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება მხარეთა პასუხისმგებელი პირების მიერ წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

მუხლი 3

თანამშრომლობის საგანს წარმოადგენს მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღებაში დახმარება და ხელშეწყობა, მხარეების მიერ წინასწარ განსაზღვრული ფორმითა და მეთოდით. უნივერსიტეტის მიერ სამინისტროსათვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა ტექნიკურ და კუმანიტარულ სფეროებში.

სწავლების კონკრეტულ მიმართულებებს, ფორმებსა და მეთოდებს მხარეები განსაზღვრავენ შეთანხმების გზით. მხარეები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ დისტანციური სწავლების მეთოდს.

მუხლი 4

აუცილებლობის შემთხვევაში სამინისტრო უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობას სამინისტროს საკონსულტაციო (სათათბირო) ორგანოში.

მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზებას შესაბამისი პირობების არსებობისას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტები.

მუხლი 6

სამინისტროსთან შეთანხმებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) დისტანციურ სწავლებას სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის არსებობის შემთხვევაში;

ბ) შესაძლებლობის ფარგლებში მსჯავრდებულთათვის წინასწარ განსაზღვრული ფორმითა და მეთოდით საჯარო ლექციების, შესაბამისი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას.

გ) კანონპროექტებზე შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების დაფიქსირებას;

დ) სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

სამინისტრო იღებს ვალდებულებას მეორე მხარისათვის შექმნას ყველა აუცილებელი პირობა ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელიც გაფორმდება ცალკე ოქმით და რომელიც იქნება წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 8

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ ვადით სანამ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს ამ მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტას.

